# დროება

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

წმ. გიორგის დღესასწაულობის გამო შემდეგი ნომერი „დროებისა“ გამოვა სამშაბათს, ნოემბრის 13-ს.

## „დროების“ ფასი ნოემბრის 1-დამ წლის დამლევამდე 2 მანათი.

### ქართული თეატრი

კვირას ნოემბრის 11-ს.

ქართული დრამატიული დასისაგან

წარმოდგენილი იქნება:

თ-დის. ვ. მ. თუმანოვის და მ. მ. საფაროვისა-აბაშიძის მონაწილეობით.

I

„ქოზეჭ“

პარიჟელი ბიჭი

კომედია 2-ს მოქმედებად, თარგმანი ფრანციცულიდამ თ. მ. ჯორჯაძისაგან.

II

დივერტისმენტი

თავ. ვ. მ. თუმანოვი წაიკითხავს ლექსებს [illegible] „[illegible] струна“ თავ. ნ. დ. ერისთავი, წაიკითხავს ლექსს „ადამიანი“

III

ბაიყუში

ვოდევილი 2-ს მოქმედებად, თხზ. ა. ა. ცაგარლისა.

ბილეთის ფასი ჩვეულებრივი.

დასაწყისი 8 საათზედ.

### შინაური ქრონიკა

— ამ დღეებში ერთი ახალგაზრდა თავდავიწყებამდე გატაცებული ჩვენის ხელოვნურის ლიტერატურის სიყვარულით და სულითა და გულით მოთაყვანე ჩვენის დღევანდელის და წინანდელის პოეტებისა იყო ქალაქ ელისავეტოპოლში განსაკუთრებით იმ განზრახვით, რომ გადაეთვალიერებინა არხივი ელისავეტოპოლის (განჯის) საგუბერნიო მმართველობისა და ამოეკრიბა რამ ცნობა ნ. ბარათაშვილის შესახებ, რომელიც იქ გუბერნსკის სეკრეტრად იყო. სამწუხაროდ ამ ახალგაზრდასთვის ეს არხივი არ უჩვენებია ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომელსაც უთქვამს, რომ თუ არ მინისტრის განკარგულებით, უცხო პირს არხივს [illegible] მხოლოდ განსვენების ადგილი ჩვენის გამოჩენილის პოეტისა. ამ ადგილს იყო ქვა ზედ-წარწერით, მაგრამ ეხლა ეს ქვა საფლავს აღარ ადევს. იგი დაცულია თურმე ეკლესიაში.

ამ ახალგაზრდას განუზრახავს ბიოგრაფიის შედგენა ნ. ბარათაშვილისა, რომლისათვისაც კარგა მდიდარი მასალა მიუცია ერთს მაღალი წოდების და გავლენიან პირთაგანს. ამ ბიოგრაფიის წაკითხვას აპირობს იგი ფასით ამ ზამთარს და ამ გვარად შეგროვილის ფულით ძეგლის აგებას პოეტის საფლავზე.

ჩვენი უხეირობა, თორემ განა ასე უნდა ვსცეთ პატივი ჩვენ იმ კაცს, რომელმაც არა ერთი და ორი წამი გვაჩუქა უმაღლესი ესტეტიურის ნეტარებისა, არა ერთხელ და ორჯერ აუძგერებია ჩვენი გული უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობით, მამულისა და ქვეყნის სიყვარულით!

— როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ქალაქში შემოღებულია უპატრონო ძაღლების ხოცვა. უწინ ამ განზრახვის შესასრულებლად ოროლი კაცი დადიოდა ხოლმე, ერთს მათგანს ეჭირა კავი, რომელსაც ძაღლს გამოსდებდა და მეორეს კეტი, რომელსაც თავში დასთხლეშდა. დღეს საუმჯობესოდ დაინახეს, რომ ეს შემაძრწუნებელი ჩვეულება სხვა გვარად შეეცვალათ და გადასწყვიტეს, რომ ამ გვარი ძაღლები მოსწამლონ ხოლმე.

სამწუხაროდ ეს უკანასკნელი საშუალებაც ხალხს თავიდგან არ აცილებს [illegible] ძაღლები მალე არა კვდებიან და მთელი დღე დარეტიანებულებსავით დარბიან, ხან სად წაიქცევიან, ხან სად, ეგრიხებათ და ეპრანჭებათ სხეული, თვალები ემღვრევათ და ბოლოს საშინელის კონვულსიებით იხოცებიან.

ნუთუ პირუტყვთ მფარველის საზოგადოების მოვალეობა არ არის, სხვა რამ საშუალება გამოძებნოს და ერთის მხრით ასეთის წვალებით პირუტყვები არ ახოცინოს, მეორე მხრით საზოგადოებას აცილოს თავიდამ ამისთანა უსიამოვნო სურათის ცქერა?

— სოფ. ღორეშის (შორაპნის მაზრა) მცხოვრებელი ვინმე ორჯონიკიძე დიდის ხვეწნით გვეხვეწება, ვსთხოვოთ ჩვენის გაზეთის შემწეობით ბ-ნს ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორს და მასწავლებლებს, რომ მერმის მაინც მიიღონ ჩემი ძმა სილიბისტრო, რომელსაც კენჭი შეხვდა მიღებისათვის, მაგრამ მცირე წლოვანობის გამო უარი უთხრეს წელს სექტემბერში. წერილი ძლივ-ძლივობისას არის დაწერილი და მისი აზრი მხოლოდ მიხვედრით თუ ამოიკითხება. ამ გარემოებას განმარტება აღარ ეჭირვება და ყველა აშკარად დაინახავს, რამდენად გაძლიერებულია სწავლის სურვილი ჩვენს ქვეყანაში.

— ახირებული იაფობა თუ გინდათ, სწორედ გორში ყოფილა, მაგრამ უფრო ახირებულია ის მიზეზები, რომელთაც გამოუწვევიათ ეს იაფობა: [illegible] და სოფლის ნაწარმოებს, [illegible] იქიდამ, ისეთი ვიწროობაა, რომ ყველა მსურველი ვერ შოულობს ალაგს თავისი ნაწარმოები დააწყოს და თავისუფლად გაჰყიდოს. გლეხი კაცი ამისათვის იძულებულია სულ ტყუილუბრალოდ გადაჰყაროს თავისი ნაჭირნახულევი. ამას წინედ ერთმა გლეხმა ერთი ურემი კომბოსტო, მეიდანზე რომ ვერსად წაიღო, 1 მან. და 40 კაპ. გაჰყიდა. ამ მიზეზს იაფობისას მეორე მიზეზიც ზედ ერთვისო, უმატებს კორესპონდენტი. რაკი

### «დროების» ფელეტონი, ნოემბ. 9-ს

#### ეპიტაფია.

(ხსოვნას თ. ლ—სას.)

უსამართლობის, ცხოვრების ზღვაში<br>
შენა გხვდა წილად მხოლოდ ტანჯვები<br>
და იმ ტანჯვების უღმერთობაში<br>
კაცთა სიავის მძიმე ეჭვები<br>
არ შეჰხებიან შენს კეთილ გულსა,<br>
რომელშიაცა ძმათ სიყვარულსა<br>
ენთო უშრეტი წმინდა ლამპარი.<br>
ის ანათებდა შენსა წარსრულსა,<br>
ამით იქნები დაუვიწყარი!..<br>
და შენს სიცოცხლეს უბედოს, მწარეს,<br>
ძეგლი ხსოვნისა დაესვენება;<br>
შენსა მოწყენილს, ღარიბს სამარეს<br>
კურთხევის ცრემლი დაეწვეთება.

ვ.

### კერძო ოჯახების მსხვერპლის შეწირვა სვანეთში.

(დასასრული*)

მკითხველმა რომ გარკვეული და სრული სურათი, წარმოდგენა შეადგინოს სვანებზე შესახებ მსხვერპლის ან ზვარაკის შეწირვისა, როგორც საზოგადოდ სახალხოდ, ისე კერძოდ ოჯახებში, საჭიროდ მიმაჩნია ამ უკანასკნელთ აღწერა.

საზოგადოდ უნდა შევნიშნო, რომ ყოველს სვანის ოჯახს არჩენილი ჰყავს თავის უმახლობელეს მფარველად ერთი რომელიმე წმინდანი, მაგალითად წმ. კვირიკე, წმ. გიორგი, წმ. ბარბარე, მიხეილ და გაბრიელ მთავარანგელოზები და სხვ., რომელთაც ოჯახმა წელიწადში ერთხელ მაინც უთუოდ უნდა შეავედროს თავისი თავი, რასაკვირველია, მსხვერპლის შეწირვითა.

ამას გარდა თვითოეული სვანის ოჯახი სოვალედ ხდიდა თავის-თავს წელიწადში ოთხჯერ ეწირვინებინა «პაპის ან ბაპისთვის» (სახეში მაქვს ძველი დრო პაპებისა). თუ ამ მოვალეობას არ შეასრულებდა ღვთის მავედრებელი სვანი (ღერთემი მეკბაალ მუშვან) და მის ოჯახს რაიმე მარცხი მოუვიდოდა: კაცის სიკვდილით, საქონლის დახოცვით ან დაკარგვით და სხვა ამ გვარ უბედურ შემთხვევებით, მაშინ ხალხის აზრით და, რასაკვირველია, — თვით ოჯახის აზრითაც, ამ უბედურებათა მიზეზი სხვა არა იქნებოდა-რა, იმის მეტი, რომ ოჯახმა თავიდამ აიცილა მიუცილებელი მოვალეობა — მსხვერპლის შეწირვა ღვთისადმი. — რა გასაკვირველიაო, — ამბობდა ხოლმე ხალხი — რომ ამა და ამ ოჯახს უბედურება ეწია; ეს ერთი წელიწადი გადის და მის ოჯახში „პაპს“ ფეხი არ შეუდგამს (ესე იგი არ უწირავს ოჯახისთვის), ღვთისათვის ერთი კრავი არ დაუკლავს და ერთი კათხა არაყი არავის დაულოცავს მის ოჯახში და ბოლოს ნიშნის გებით დაუმატებდა ხალხი: „ეს უნდოდა და ეს ჰქონდეს“, ესე იგი, უბედურებაო.

ამ ნაირად რიგით სვანს ოთხჯერ უნდა გადაეხადა წირვა წელიწადში, თუ ჰსურდა, რომ ღმერთი არ გაერისხებინა. ეს ოთხი წირვა ან მსხვერპლის შეწირვა უნდა მომხდარიყო: შემოდგომაზე, ზამთარში, გაზაფხულზე და ბოლოს ზაფხულში. შემოდგომის მსხვერპლის შეწირვით სვანი სთხოვს ღმერთს, რომ მისი, ესე იგი, სვანის ნაჭირნახულ-ნაოფლარი (ნაჭირ-ნაოფლი) სალხინოდ მოეხმარებინა, შეეჭმევინა (სალხინისგა ლეზვებ) მისთვის. ზამთრის მსხვეპლით (ახალ-წლის შემდეგ, როცა იქნებოდა), სვანი სთხოვს

(* იხილე «დროება» № 229.

შემოდგომა დადგა და ჰკრეფენ სოფლებში ფოსტის ფულსა, არ იქნებოდა ურიგო, რომ მოხელეებმა წინდაწინვე აუწყონ მამასახლისებს, რა დროს და რიცხვში იქნება მოკრეფა გადასახადისა, რომ ცოტაოდნად რიგიან ფასად გაჰყიდონ, რაც გასასყიდი აქვთ და ისე მოიშორონ აუცილებელი ვალიო.

=გაზ. „კავკაზში" სწერია რომ ამიერ კავკასიის საფილოქსერო დასის ერთს ნაწილს ოქტომბრის 25—30 გაუსინჯავს ვაზები თბილისის მაზრის შემდეგს ადგილებში: სოფ. ავჭალაში (2 ვენახი), სოფ. გლდანში (5 ვენ.) სოფ. მცხეთაში (1 ვენ.) ფილოქსერა არც ერთს ადგილას არ აღმოჩენილა. ოქტომბრის 31 ამ ნაწილს გაუთავებია წლევანდელი სამუშაო, რაისათვის იგი შეამ გაუუქმებიათ.

=იმავე გაზეთს აცნობინებენ, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს საჭიროდ უცვნია საფილოქსერო კრება გამართოს მომავალს გაზაფხულზე თბილისში იმ ღონისძიებათა განსახილველად, რომელთა ხმარებაც შესაძლებელია ფილოქსერის წინააღმდეგ საზოგადოდ კავკასიასა და რუსეთშიო.

=კახეთიდგან სწერენ „კავკაზსა": სიღნაღის მაზრის ყველა სოფლებში ყვავილი დაბუდებულა; იხოცებიან ყმაწვილებიც და დიდებიც. ყვავილით ისინიც ხდებიან ავად, ვისაც აცრილი ჰქონ- [illegible] მყოფობას ცუდი შედეგი მოჰყვება ხალხისათვისაო. ცივი წვიმები, რომლეც ხშირად მოდის აქ, ჭაერის სინოტივე, ცუდი სახლები და რიგიანი მოუვლელობა ავადმყოფებისა ძალიან ცუდად იმოქმედებს ყვავილიან ავადმყოფებზედ.

## უცხოეთი.

**ინგლისი.** გენ. გორდონზე იმდენი სხვა-და-სხვა ამბავი მოდის, რომ რომელს ერთს დაუჯეროს, კაცმა აღარ იცის. უკანასკნელის ცნობებიდამ სჩანს, რომ ეს მამაცი მხედარი მოუკლავთ. დღემდის მოდიოდა ამბები, რომ მაჰდიმ დაატყვევა გენ. გორდონი და მთელი ჯარი ინგლისელებისა ამოხოცაო. გორდონი ხშირად გამოდიოდა თურმე სიმაგრე ხართუმიდამ და ათვალიერებდა გარ-შემორტყმულ მაჰდის ჯარს. ამით უნდოდა დაენახვინებინა მაჰდისათვის, რომ ის სრულიადაც არ არის ისე შემწყვდეული ხართუმში, რომ შემთხვევის დროს არ შეეძლოს გამოსვლა ციხიდამ. გამოდიოდა კიდე იმიტომ რომ გენ. ველსლეისთვის მიეცა ნიშანი მიშველებისა. ველსლეი ჯარებით დაბანაკებული იყო ხართუმის შორი-ახლოს, მაგრამ რადგან მმართებლობის გარდაწყვეტილებას უცდიდა, ვერ მიშველებოდა გენ. გორდონს. და ამ რიგად იქამდე უცადეს, სანამ ეს მხნე და მამაცი გენერალი არ დააწვინაო მტრის ტყვიამ.

**საფრანგეთი.** საფრანგეთის ჯარების ამბავი რალაც იშვიათად მოდის ამ უკანასკნელ ხანებში ჩინეთიდამ. მაგიერად პარიჟსა და პეკინს შუა გამართულს მოლაპარაკებაზე მორიგების შესახებ სულ ახალ-ახალი ცნობები მოდის. ლონდონის საგენტო «სენტრალ ნეუსი» დაბეჯითებით ფრანგეთსა და ჩინეთს შუა გადაწყვეტილიაო. საფრანგეთი უარს-ჰყოფს იმ ნივთიერ დაკმაყოფილებას, რომელსაც ადრე ითხოვდა და ჩინეთიც აღიარებს ტიან-წინის პირობას. ახლა გამართულია მოლაპარაკება თონკინის მიჯნების გასაზღვრაზედ.

თუ ესე ადვილად გადივლიდა პარიჟში ხოლერა—არავის ეგონა. დღითი-დღე, როგორც პარიჟში, ისე პარიჟის ახლო-მახლო ქალაქებში და დაბებში ჰკლებულობს ეს საშინელი სენი — და მალე იმედი აქვთ სრულიადაც მოისპოს.

წელს კი ასე იაფად დაუჯდა საფრანგეთს ხოლერისაგან განთავისუფლება, მაგრამ გაისად ვინ იცის, სად ამოჰყოფს თავს ეს მეცნიერებისაგან დაუძლეველი ავადმყოფობა.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

ერთს ამერიკელს გამოუცხადებია: გამოვიგონე ისეთი აპარატი, რომელიც უფასოდ და უმელნოდ, რაც გინდა სული და გული, იმას დასწერსო. აუარებელი მსურველნი გამოჩენილან, რასაკვირველია, ამ გვარის აპარატის შეძენისა და გაუგზავნიათ ჯეროვანი ფასი ამ უცნაურის აპარატის გამომგონისათვის და ყველას მოსვლია პასუხად: — აიღეთ კარანდაში და ის დასწერსო!..

ლეიპციხში ერთს უსაქმო კაცს გამოუგონია ერთ გვარი ყელსახვევი. შეხედულებით ეს ყელსახვევი არაფრით არ განირჩევა თურმე საზოგადოდ ყელსახვევებისაგან. შიგაში აბნევია ქინძისთავი, რომელსაც თავზე წვრილი ნასვრეტი აქვსო; ამ ნასვრეტიდამ ყელყურის შიგნით გაბმულია წვრილი რეზინის მილი, რომლის მეორე თავი უერთდება რეზინისავე ბურთს. ეს ბურთი, წყლით სავსე, გიძევთ შარვლის ჯიბეში. როდე- [illegible] გაჭყლეტს მილს და გამოასხამს ქინძისთვის ნასვრეტში...

ნემეცურს გაზეთებში სწერია ერთი ფრიად საინტერესო ამბავი საფრანგეთსა და პრუსიის შუა ომის დროისა. როდესაც ნემეცებმა აიღეს ქ. პიტივიე, აქ ტელეგრაფის სტანციაში მსახურებდა ერთი თექვსმეტი წლის ქალი ჟულიეტა დოდიუ. ჟულიეტა თავის დედით იდგა ერთს პატარა სახლში, რომლის წინ გადიოდა ტელეგრაფის მართული. ამ გარემოებამ აფიქრებინა ყმაწვილს ქალს, ეს მართული შეეერთებინა თავის ოთახთან სხვა მართულით, მოეწყო იქვე აპარატი და მტრის დეპეშები დაეჭირა ხოლმე. ეს განზრახვა კიდეც აასრულა, მაგრამ, არ გასულა დიდი ხანი, გაუგეს და სასტიკი სასჯელი, სიკვდილი გადაუწყვიტეს... როდესაც მხედართ მთავარმა პრინც ფრიდრიხ-კარლმა ჰკითხა ჟულიეტას: იცის მან, რა მძიმე სასჯელს მიეცემიან ხოლმე ომიანობას დროს ჯაშუშებიო, — ქალმა თამამად და ამაყად მიუგო: — მე საფრანგეთის შვილი ვარო!.. მაგრამ რადგი საფრანგეთსა და პრუსიას შორის შერიგება ჩამოვარდა, ყმაწვილს ქალს ასცილდა სასჯელი. მაკ-მაჰონმა დააჯილდოვა იგი საპატიო ლეგიონის ორდენით და დღესაც ეს ერთს დროს მამულისათვის თავის დამდები ყმაწვილი ქალი ტელეგრაფის სტანციაზე მსახურებს ქ. მონტრეილში.

1770 წელს ინგლისის პარლამენტს გამოუცია შემდეგი კანონი: ყოველი ქალი, განურჩევლად წლოვანებისა და წოდებისა, როგორც ქალწული, აგრეთვე ქვრივი, რომელიც ამ კანონის გამოცემის შემდეგ რამე ხერხით მოატყუილებს მამა-კაცს, ბრიტანიის ქვეშევრდომს, და სხვა-და-სხვა საშუალებით, მაგ. სახეზედ ფერ-უმარილის წასცხებით, ჩასმულის კბილებით, ზედ ნადები თმით, რკინის კორსეტებით და მაღალის ქუს- [illegible] შეაცთუნებს თავს დასჯილ იქმნება ისე, როგორც გუდიანი, ჯადოსანი და ქორწინებაც დაირღვევაო.

მომავალის წლის თებერვლიდამ პარიჟში იქმნება ლამაზი ქალების გამოფენა. წლოვანება განსაზღვრულია 20—30 წლამდის.

ოთხმოცი ათასი ქვრივაა თურმე ამ

---

ღმერთს, ბედნიერი და უმარცხო ახალი წელიწადი მოუვლინოს.

ზაფხულზე—ხვნის დაწყების შემდეგ—სვანი ითხოვს, რომ მის ნახნავ-ნათესს (ნახან ნალააშვ) კარგი დრო და ტაროსი დაუდგეს. ზაფხულში სვანი ითხოვს, რომ მის ამოსულ, მაგრამ ჯერ შემოუსვლელს ყანებს, ზიანი არ მისცემოდეს ბუნების მავნებელ მოვლენათაგან, როგორიც არიან მაგალითად სეტყვა ანუ კოხი, ოდი ანუ უნდილი და სხვ.

აი, თვით პროცესიც ოჯახში მსხვერპლის შეწირვისა. ვსთქვათ, სექტემბრის 25-ს უნდა აწირვინოს სვანმა «პაპს», ერთს ან მეტს, ეს შეძლებაზეა დამოკიდებული. სვანს წინ-და-წინვე აქვს ნათქვამი პაპისთვის, რომ აღნიშნულს დღეს მისი მწირველია; ამ დღეისთვის ოჯახში სიწმინდე უნდა იყოს, ე. ი. ოჯახში არ უნდა იწვეს მშობიარე ქალი, არ უნდა იყოს აგრეთვე სამთვარიოთი ავადმყოფი დედა-კაცი და ამასთანავე ის ოჯახის წევრი, რომელიც ყოფილა მშობიარე ქალთან ან სამთვაროთი ავადმყოფ ქალთან, ამ დღეს სახლში არ უნდა შემოვიდეს. დანიშნულ დღეს, დილას პაპი მოდის სვანის ოჯახში. სვანს მსხვერპლად ჰყავს — ვსთქვათ ვერძი. პაპის მოსვლისათანავე, მასპინძელი წმ. სანთლის ჩხირს ჩამოჰქნის. მოუკიდებს და ერთად მარილის კვნიტით გარდასცემს პაპს. ამ დროს მოიყვანებენ საზვარაკე ვერძს პაპის წინაშე. პაპი წაუკითხავს რამდენსამე ლოცვას, მარილს შეაჭმევს, სანთლით ვერძს ბალანს შუბლზე, ორ ბეჭ-შუა და კუდთან შეუტრუსავს და შემდეგ გარდასცემს მასპინძელს დასაკლავად. ამ დროს მასპინძლის ქალი წმიდა პურის თხელ ცომს მისცემს პაპს. ეს უკანასკნელი მოასქელებს ცომს ფქვილით და გამოაცხობს თავის ხელით 1-5-დე სეფისკვერს (კირკვალდ), რომელსაც აცხობის დროს პაპამ მარილის კვნიტი უნდა წააფხიკოს და შეურიოს. სეფისკვერის ცხობის დაწყებიდგან, ვიდრე ქვის ფილაქანზე დადებამდე (ჩვეში კეცი და თორნე არ იციან) სეფისკვერებისა, პაპა განუწყვეტლივ კითხულობს ლოცვებს — სეფისკვერის საკურთხს. ამ დროს მასპინძლის ქალი გამოაცხობს ოთხს ტაბლას (ლაბილ) პაპის მისაცემად და ორს სხვა პატარა პურს, რომელიც პაპიმ წირვიდგან უნდა დაუბრუნოს ოჯახს. ამავე დროს ვერძის გატყავება და მის გულ-ღვიძლის შეწვაც მოასწრეს. ეს ვერძის შემწვარი გულ-ღვიძლი, ოთხი ტაბლა, ორი პატარა პური — ყველა პარკში (ბარკ) ჩაუწყვეს პაპს, აჰკიდეს მას ცალ-მხრივ, პატარა ლიტრით ან კვახით საზედაშე არაყი მისცეს ხელში, — ფეხებთან ნაკვერცხლებს დაუყრიან, რომელზედაც პაპიმ უნდა გადაიაროს ნიშნად მისის განწმენდისა «ყოველისაგან ბიწისა» და გაუშვებენ ეკლესიაში საწირავად, სადაც სხვა პაპებიც დახვდებიან, ამგვარადვე მწირველნი სხვა-და-სხვა ოჯახებისა. ვსთქვათ, ეკლესიაში მოგროვდა ათი პაპი. (პაპების რიცხვი ზოგიერთს საზოგადოებაში 30-დე აღიოდა). ერთი პაპთაგანი მღვდლის როლს ასრულებს, შედის საკურთხეველში და იმოსება თავისებურ სამწირველო სამოსელით. უფროსმა პაპმ დაიწყო ვითომ წირვა, საკურთხეველში, სხვებიც მოჰყვნენ თავ-თავიანთ ლოცვებს, ვინც რამდენი იცოდა და ბოლოს ეს ახირებული, „ბაბილონში ენათა შერევნის" მზგავსი წირვა გათავდა. პაპებმა პარკებიდგან საჩქაროდ ამოაწყეს ტაბლები, გულ-ღვიძლი, სეფისკვრები; ერთს ხელში ესენი დაიჭირეს, მეორეში საზედაშე არაყი, დაიჩოქეს ხატების წინ და ყველანი შეეხვეწნენ ღმერთს, რომ მისი წირვა „ღირსიანი ყოს" მასპინძელს. გათავდა ესეც. ტაბლები და ღვიძლები პაპებმა დაინაწილეს, საზედაშე არაყი იქვე დალიეს და წავიდნენ თავ-თავიანთ მასპინძლებთან სადილად.

როდესაც პაპი წირვიდგან დაბრუნდებოდა, მასპინძელს შემდეგის დალოცვით მიუბრუნდებოდა (სვანურად): «ღმერთო შენი წყალობა გამომატანე ამ ოჯახში, ღმერთო დღევანდელი ჩემი წირვა-ლოცვა (!) ღირ-

ჟამად ინდოეთში, მაგრამ ქვრივიც არის და ქვრივიც. ამ ოთხმოც ათასს ქვრივში ქქვსის წლისას ვერც კი ნახავ ეჟროში, 3—5 წლისანი არიანო. საქმე ის არის, რომ ინდოეთში დაიბადება თუ არა ქალი, მაშინვე მოუმებნიან საქმროს. საქმრო მოკვდება და ქვრივად დარჩენილს როდილა აქვს ნება გათხოვებისა კანონითაო.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ნოემბრის 7-ს.

ბერლინი. დღეს კონგოს შესახებ კონფერენციის სხდომაზე არჩეულ იქმნა კომისია ქვემო მოხსენებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან: საფრანგეთისა, ინგლისისა, გერმანიისა, შეერთებულ შტატებისა, ესპანიისა, ბელგიისა და პორტუგალიისა; თავს-მჯდომარედ არჩეულია საფრანგეთის ელჩი კურსელი. კომისიამ უნდა განარჩიოს საზღვრები კონგოსი და სახელმწიფოთა დავა ამ მხარეზე.

ნოემბრის 8-ს.

პეტერბურგი. იუსტიციის სამინისტრო შეუდგა ნოტარიალურ ნაწილის განხილვას. წინადადება, ცვლილება მოხდეს აწ-არსებულს უფლებებში და გადაწყვეტილებაში ნოტარიუსებისა.

ხმა იმის, რომ კომისიას გადაუსინჯავს აფთიაქის მაზანდა და გადაუწყვეტია, რომ საფუძვლად ის შეა ფასები იქმნეს მიღებული, რომელნიც პეტერბურგის და მოსკოვის დროგისტებსა (წამლების გამსყიდველთ მაღაზიებში) აქვთ დაწესებული, ხოლო რომელიმე პროცენტი უნდა მოემატოს რთული წამლების მოსამზადებლად.

ხმა იმის, რომ დაბალი სასულიერო მოსამსახურეების მოსამზადებლად აპირებენ დიაკვნების კლასების გამართვას დიდ ეკლესიებსა და მონასტრებში.

გუშინ მენტონში გარდაიცვალა ვლადიმერ მიხეილის-ძე ქემჩუჟნიკოვი.

სამოსამართლო პალატამ წყლის გაყვანის შესახებ დაადგინა: დამტკიცდეს ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება, შესახებ წყლის გამყვანი საზოგადოების საჩივარისა ქალაქის საბჭოსთან და დაუბრუნდეს დაკისრებული ჯარიმები, ვალდებული გახდეს საზოგადოება გააკეთოს ფილტრები, თანხმად პირობისა, ნევის ნაპირზედ, მიზომით 2900 საჟ. მიწაზედ, რადგანაც ქალაქს არ შეეძლიან მიუზომოს ადგილი წყლის გასაყვან შენობების ახლო; ფილტრების გაკეთების ვადა დაინიშნოს ოთხი წელიწადი სასამართლოს გადაწყვეტის დღიდგან.

ბაქო. ნავთის მწარმოებელთ გუშინდელს კრებაზედ დადგინებულ იქმნა: ვიშუამდგომლოთ რათა აღიკრძალოს დაუწმენდელი ნავთის გატანა საზღვარ გარეთ და თავისუფლად ვაჭრობა ნავთის ნაშთითა და დისტილატებით.

ბერლინი. დღეს გაიხსნა საიმპერო პარლამენტი ხელმწიფის სატახტო სიტყვით, რომლის ნაწილიც გერმანიის გარეშე დამოკიდებულებაზე განსაკუთრებით ეხება კონფერენციის შედგენას დასავლეთ აფრიკის შესახებ; რადგან სახელმწიფოებმა ამაზედ თანხმობა გამოაცხადეს, იმპერატორი სთვლის ამას ნდობისა და კეთილ-განწყობილების საბუთად, რომელიც იმ რწმენაზედ არის დამყარებული, რომ, მიუხედავად თავის გამარჯვებისა, გერმანია ზრუნავს ხალხის კეთილ-დღეობაზედ. ეს ფაქტი მით უფრო ახარებს იმპერატორს, რომ სკერნევიცაში მოლაპარაკებამ დაამტკიცა გერმანიის მეგობრობა ავსტრიასა და რუსეთთან, და ეს გარემოება უსათუოდ დიდხანს გაგრძელდება.

ნოემბრის 9.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით სომხების გაზეთის „არძაგანკის“ გამოცემა შეჩერებულ იქმნა რვა თვის ვადით.

კიევის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველმა წარუდგინა სახალხო განათლების მინისტრებს დიპლომი კიევის უნივერსიტეტების საპატიო წევრისა მემკვიდრე ცესარევიჩისათვის მისართმევად.

„რუსეთის სამეურნეო კომისიონერობა «მშრომელი»-ს ფირმით დაწესდა ს. პეტერბურგში საზოგადოება, რომლის საგნად ის იქნება, რომ გაუადვილოს საუკეთესო ვეჯისა და სახნავ-სათესი მაშინების მოპოვება მეურნეებსა და მხვნელ-მთესველთ; ძირითადი თანხა საზოგადოებისა 300,000 მან.

რუსეთის მიერ მონაწილეობის მიღება ხალხთა-შორეგრივ გამოფენაზე ანტვერპენში გადაწყდა და მთავარ კომისარად რუსეთის განყოფილებისათვის ინიშნება განსაკუთრებულ მინდობილობათა ჩინოვნიკი ფინანსთა სამინისტროსი სიბეკმანი.

პარიჟი. გუშინ საღამოს 6 საათზე მოკვდა ხოლერით 25 კაცი.

კრებამ სამეურნეო საზოგადოებათა საჭიროდ სცნა მომეტებულ იქმნას ბაჟი შემოტანილ პურზე. ჩქარა მოჰყვება ამას გარდაწყვეტილება სამინისტროთა საბჭოსი ამ საგნის შესახებ.

# ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შელავათისათვის ღამღამობით მორიგედ ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადანოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაგინოვისა, ორშაბათობით, და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა. ხუთშაბათობით და კვირაობით.

საავადმყოფოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ საავადმყოფოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლებლად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლებლად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა

სიანი უყავთ. მასპინძელს სადილი მზათა ჰქონდა. სანამ სადილად დასხდებოდნენ, ერთს სუფრაზე «სალმროთოს» (სალოცავთ) დააწყობდნენ: საკლავის თავს, მარჯვენა ბეჭს, რამდენსამე პურს და არაყს. პაპი აკურთხებდა ამ სუფრას, რომლის შემდეგაც დასხდებოდნენ სადილად; თავში მასპინძელი დაჯდებოდა, ქვემოდ პაპი, პაპის ჯალაბი მოებმებოდა და ამნაირად შეუდგებოდნენ ჭამას. პაპი სჭამდა, სვამდა, სანამ მის გულს უნდოდა; შემდეგ გამაძღარს და გამომთვრალს მისცემდნენ ერთ ულუფა ხორცს ესრედ წოდებულს „მოსვალდ ს“, ორს პურს და გაუშვებდნენ სახლში.

შეძლებული ოჯახი ერთი პაპის მაგიერ რამდენსამე აწირვინებდა,— საკლავებსაც მეტს დახოცდა, ახლო ნათესავებსაც მიიპატიჟებდა, მაგრამ ღარიბი სვანი-კი ზემოდ აწერილ მსხვერპლითაც კმაყოფილდებოდა. სვანეიმა მარხვაშიაც იციან მსხვერპლის შეწირვა, რომელიც სახსნილო მსხვერპლის შეწირვისაგან მხოლოდ იმითი განირჩევა, რომ საკლავების მაგიერობას შესაწირავად არაყი სწევს.

არის კიდევ ერთნაირი მსხვერპლი ოჯახებში, რომელსაც სვანურად «ლიიდბაში, ლილაში (სადიდებელი) ჰქვია და რომელიც მდგომარეობს შემდეგში. როდესაც ახალი მოსავალი შემოვა, სანამ ოჯახი მის ჭამას დაიწყებს, გამოაცხობს იმდენ ყველ ჩართულ პურს, რამდენი სულიც ოჯახშია. მათ გარდა გამოაცხობს კიდევ სამს პატარა პურს. ამ პურებს უნდა გაუჩიონ ახალი მოსავლიდგან ერთი ჯამი ფქვილი. ზემოხსენებულ სამი პატარა პურის გამოცხობის დროს მამა კაცებმა არ უნდა უყურონ: არ ვარგაო. ამ პურებს ოჯახის უფროსი ქალი პირქვე დამხობილი შეულოცავს «ქორა მეზირს» (ეტიმოლოგიური მნიშვნელობა „მეზირისა“ ვერ ავხსენი, მაგრამ ის წარმოდგენა, როგორიც სვანებს აქვსთ ამ „მეზირზე“ მოაგონებს კაცს რომაელების «Lares» „penates“ და ნახევრად რუსების „домовой“-ს). „ქორა მეზირი“ სვანების წარმოდგენაში რაღაც ისეთი ძალაა, შინაური ღმერთი, რომელიც განუშორებლივ ოჯახში უნდა იყოს და რომლის ოჯახიდგან გასვლა, მის დამხობას, დაცემას ნიშნავს; ამისათვის მას ძლიერ მოწიწებით ექცევიან ხოლმე. რას ეხვეწება პირ-ქვე დამხობილი ქალი ამ „მეზირს“? ეს ჩემთვისაც საიდუმლოდ დარჩა, თუმცა საკუთარის დედისჩემისთვის ბევრჯერ მითხოვია, გაემჟღავნა ეს ჩემთვის, მაგრამ ყოველთვის ამ სიტყვებით მოუშორებივარ: „ამისი კაცებისთვის გამჟღავნება „მეზირის“ საწყენია და ოჯახს ავნებსო“. როდესაც დამხობილი ქალი „მეზირის“ შელოცვას გაათავებდა, ერთს იმ სამ პურთაგანს განგებ დანიშნულ კედლის ხვრელში შედებდნენ, რომელსაც — ხალხის ფიქრით — „მეზირი“ შესჭამდა, თუმცა უეჭველია, ამ საიდუმლო პურით „მეზირის“ მაგიერ თაგვები იმტკბარუნებენ პირს. ორს დანარჩენს პურს ქალები გაინაწილებენ და შესჭამენ უკაცებოდ; როცა ამ საიდუმლოს გაათავებენ, ოჯახის მოხუცი დედა-კაცთაგანი ყველიან პურებს, რომელნიც იმ სამ პურთან გამოაცხვეს, ჩააწყობს გოდორში, აიკიდებს, წაიღებს რომელიმე ხოფლის ეკლესიაზე მისალოცავად. ეკლესიის გალავანს გარედ, ქალი გოდორიდგან აიღებს, ჯერ ერთს ყველიანს პურს და შეევედრება მამა-ღმერთს (ფუსნ-აბგასდიშ), მერმედ აიღებს სამს პურს და ქრისტეს შეეხვეწება, შემდეგ დედა ღვთისას, იმ ეკლესიას, სადაც მივიდა და მერე სხვა მისთვის ცნობილ წმინდანებს, გათავებისას დაისვენებს იქვე და მერე სახლში დაბრუნდება; მოტანილი, შელოცვილი პურები ვახშმად უნდა მოიგონ, როგორც მამა-კაცებმა, ისე ქალებმაც. ამ გვარი პურით ხვეწნა „ქორა მეზირისა“ და ღვთისადმი სვანებმა სხვათა-შორის იციან: აღდგომა დღეს, ივლისის 15, პეტრე პავლობას და მარიობას, აგვისტოს 15-ს ყოველს წლობით.

თავისუფალი სვანი.

ქ. ქუთაისი.

და ქურის ტკივილის სამკურნალოდ; შემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხვ. გამოვლილი მეწყვის წამლობისათვის. ამას გარდა: გარადვეიცი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; გორონი ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ჩაშინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის სამკურნალოდ; კრასნოგლადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ჯვალაფსონი გბილის ტკივილის სამკურნალოდ მიიღებს თავის სახლში უფულოთ ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდ ზრათი ექნებათ.

## ბაზარი

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დღეებში და ხელდა-ხელ 1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე 1884 წ.

გამოცხვარი პური რუსულის ფქვილისა — —1 გირ. 5 კ.
აგრეთვე ფქვილისა: პირველის ხარისხისა — —1 გ. 2½
მეორისა — — —1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თორნეში გამოცხვარი:
პირველი ხარისხის —1 გ. 4½
მეორისა — —1 გ. 3 კ.
მესამისა — —1 გ. 2½

ძროხის-მმე ხორცი:
პირველი ხარის. ლიტრა1 გ. 4½
მეორის ხარის. ლიტრა1 გ. 3½
მესამისა — — —1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:
პირველის ხარისხისა —1 გ. 7 კ.
მეორისა — — —1 გ. 6 კ.
სუკი . . . . —1 გ. 14 კ.
ცხვრის ხორცი —1 გ. 7 კ.

ღორის ხორცი:
პირველის ხარისხისა —1 გ. 7 კ.
მეორისა — — —1 გ. 6 კ.

## რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო
10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის
თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება

**ელისო**

მოთხრობა ჩეჩნეთ ცხოვრებიდგან

თხზულება

ა. მ. მოჩხუბარიძისა.

ფასი 25 კაპ.

იყიდება თბილისში: გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში და არწრუნისეულ სტამბის კასაში ქუთაისში: შილაძის წიგნის მაღაზიაში; ფოთში: ხუმარაძის მაღაზიაში; ბათუმში: მასწავლებელს ბატ. მოსე ნათაძესთან; ოზურგეთში: ბ. ილურიძესთან; ახალციხეში: ბ. ბ. ალექსეევ-მესხიევთან; გორში: ბ. ბ. ლომაურთან და ბ. ს. მგალობლიშვილთან; თელავში: ბატ. ვ. როსტომაშვილთან.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ამავე ავტორის თხზულებანი: **ელგუჯა**, ისტორიული მოთხრობა. **არსენა**, დრამა 3-ს მოქმედებად. ღილა ქორწილის შემდეგ, ვოდ. 1-ს მოქმედებად და „თხზულებანის" პირველი ტომის, პირველი ნაწილი. (20—9)

**ძმ. შილაძეთა წიგნის მაღაზია**

**ქუთაისში**

აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მან საკუთრებად შეიძინა მთელი გამოცემა ახალი პოემის **თორნიკე ერისთავისა**, რომელიც იყიდება მხოლოდ ამ მაღაზიაში, ექვსშაურიანი თითო მანეთად. იქვე იყიდება ყველა ქართული გამოცემანი, სხვათა შორის: სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, გის-რამიანი, თ. გ. ერისთვის თხზულებათა კრება ჩინებულს ყდაში და სხ.; ყოველ-გვარი სახელმძღვანელოები ქართულს და რუსულს ენაზე, სასწავლო და საკანცელარიო კუთვნილებანი. ამავ მაღაზიამ შეიძინა უფლება და შეუდგა გამოცემას ჩვენი ორი დიდი პოეტის **ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის** თხზულებათა კრებისას. (10—3)

**რეცოლდის პანსიონში**

იღებენ შეგირდებს მუდამ მთელის წლის განმავლობაში და ამზადებენ ყველა საშუალო სასწავლებლებში შესასვლელად. (4—4)

**ბიბლიოგრაფიული განცხადება**

**დედანი** ქართული წერისა, სურათებით, შედგენილი **იაკობ გოგებაშვილისაგან**, დაიბეჭდა და იყიდება გამომცემლის ზაქარია ჭიჭინაძის მაღაზიაში. ფასი ექვსი შაური; ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოცი ცალისა, დედანი დაეთმობა ხუთ შაურად. აგრეთვე იყიდება იქვე და სარქისოვის მაღაზიაში ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი **დახაზული ქაღალდი**, თაბახი კაპეიკ-ნახევარად. რვეულები მზადდება და ელირება: ორ-თაბახიანი ოთხ კაპეიკად და ოთხ-თაბახიანი რვად.

**კონა** საყმაწვილო მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, მეორე შევსებული გამოცემა, სურათებით, იყიდება იქვე, ფასი ათი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოცი ცალისა, წიგნი დაეთმობა 42 კაპეიკად. (10—10)

**ОБЪ ИЗДАНІИ ВЪ 1885 ГОДУ ЖУРНАЛА**

# „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ"

(ГОДЪ ПЯТЫЙ)

**Журналъ, какъ и прежде, будетъ выходить по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, по слѣдующей программѣ:**

I. Статьи по всѣмъ вопросамъ, вытекающимъ изъ теоріи права и судопроизводства.—II. Перечень, изложеніе и обсужденіе важнѣйшихъ распоряженій и узаконеній правительства.—III. Судебная хроника: а) отчеты о засѣданіяхъ въ судахъ, преимущественно Кавказскаго края, и б) особенно интересныя рѣшенія Кавказскихъ гражданскихъ судовъ по вопросамъ права и судопроизводства, вызваннымъ мѣстными особенностями края.—IV Корреспонденціи юридическаго содержанія.—V. Краткіе отчеты о новыхъ книгахъ юридическаго содержанія (Обзоръ юридической печати и библіографія).—VI. Смѣсь (разныя извѣстія). Случаи изъ судебной жизни и практики.—VII. Тезисы и текстуальное изложеніе кассаціонныхъ рѣшеній: а) департаментовъ сената и б) Тифлисской судебной палаты.—VIII. Извлеченіе изъ приказовъ о важнѣйшихъ назначеніяхъ по вѣдомству юстиціи.—IX. Судебный указатель. Резолюціи Тифлисской судебной палаты по дѣламъ апелляціоннымъ и кассаціоннымъ.—X. Объявленія—казенныя и частныя.

Выполнивъ, по возможности, свои прошлогодвія обѣщанія предъ читателями, редакція „Юрид. Обозр." постарается придать своему журналу въ будущемъ году еще большій интересъ, при содѣйствіи многихъ и нѣкоторыхъ новыхъ сотрудниковъ.

Кромѣ статей общаго юридическаго характера по вопросамъ гражданскаго и уголовнаго права, межевымъ, нотаріальнымъ, судебно военнымъ и пр., а также о внутренней жизни кавказскихъ судовъ и о вопросахъ дня,—въ 1885 г. будутъ помѣщены: грузинскіе законы царя Вахтанга, съ необходимыми предисловіемъ и примѣчаніями, и продолжены изслѣдованія законовъ: армянскихъ—по Мхитару Гошу, еврейскихъ—по Маймониду, мусульманскихъ, собственно Кавказскихъ народностей ихъ адаты и пр.

**УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:**

Редакція и администрація журнала (для пріема подписки, объявленій и розничной продажи)—Тифлисъ, Сололакская ул., д. кн. Меликова.

Подписная цѣна на журналъ, съ доставкою и пересылкою: на годъ—10 р.; на 6 мѣс.—6 р.; на 3 мѣс.—3 р. 20 к.; на 1 мѣс.—1 р. 25 к.

Разсрочка въ платежѣ денегъ допускается—для годовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 4 р., въ мартѣ и апрѣлѣ по 3 р., и для полугодовыхъ: при подпискѣ 3 р. и черезъ два мѣсяца еще 3 р.

Для гг. студентовъ плата 8 р., полугодовая—5 р.

Желающіе пріобрѣсти журналъ за прежніе года, уплачиваютъ: за 1881 г.—8 р. 20 к. и за всѣ послѣдующіе по 10 руб. за годовой экземпляръ.

При перемѣнѣ адреса вносятъ 40 к.

За объявленія, казенныя и частныя—строка петита 10 коп., ½ страницы 3 р. 25 к., цѣлая стран. 6 руб. 50 коп.

*При доставленіи въ редакцію „Юридическаго Обозрѣнія" экземпляра юридическаго сочиненія, о немъ будетъ данъ отчетъ и сдѣлана публикація.*

*Подписчики „Юрид. Об." имѣютъ право на полученіе, черезъ редакцію, свѣдѣній о положеніи ихъ дѣлъ въ Тиф. судеб. учрежд.—въ текстѣ журнала безвозмездно, а письменныя и телеграфныя—по соглашенію съ ред. журнала.*

Редакторъ-издатель А. С. ФРЕНКЕЛЬ.

(7—2).

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—82)

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მნ., სხოტკები თავის ტკივილის ასასხმოსლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.